დამტკიცებული
რექტორი იოსებ კაჭახიძ
2016 წელ

# შპს „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესი

## 2016 წელი

მუხლის 1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1.1. პროფესიული სტუდენტობის კანდიდატი არის პირი, რომელსაც აქვს საბაზო განათლება (თუ პროფესიული სტანდარტით სხვა რამ არ არის დადგენილი) და წარდგენილი აქვს კოლეჯში ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაცია.

1.2. III, IV და V საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ცხადდება კოლეჯის რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე, რომელშიც განსაზღვრულია აუცილებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, განცხადების მიღებისა და დასრულების ვადები. ბრძანება ქვეყნდება საჯაროდ, (კოლეჯის ვებ-გვერდზე).

1.3. III, IV და V საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების განხილვისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის მიხედვით, მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე. კოლეჯის რექტორის ბრძანებით თითოეულ
პირზე ღებულობს გადაწყვეტილებას ჩაირიცხოს ან უარი ეთქვას ჩარიცხვაზე.

1.4. III საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხება პირი, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური და აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

1.5. IV და V საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე თუ მათ არ გააჩნია წინა

საფეხური, ჩაირიცხება პირი, რომელსაც მიღებული აქვს საშუალო განათლების ატესტატი და აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

1.6. III საფეხურზე საბაზო განათლების ატესტატის საფუძველზე ჩარიცხული პირი უფლებამოსილია გააგრძელოს სწავლა იმავე პროგრამის მე–4 და მე–5 საფეხურზე საშუალო განათლების ატესტატის წარდგენის გარეშე.

1.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია წინა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება, ან წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარება.

1.8. პირი კოლეჯში ჩარიცხულად ითვლება და ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი კოლეჯის რექტორის მიერ ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემის დღიდან და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ.

მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

2.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

2.1.1. პროფესიული სტუდენტის განცხადებით დადასტურებული სურვილი სწავლის გაგრძელების შეუძლებლობის მოტივით.

2.1.2. პროფესიული სტუდენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადახდასთან დაკავშირებით (ფინანსური დავალიანება).

2.1.3. პროფესიული სტუდენტის მიმართ სასამართლოს გამამტუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, რითაც მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, რაც მას ართმევს სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

2.2. პროფესიულ სტუდენტს წინამდებარე დებულების 2.1.3. მუხლით გათვალისწინებული მიზეზით სტატუსი შეუჩერდება სასამართლოს განაჩენით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ვადით.

2.3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხდება კოლეჯის რექტორის ბრძანებით, სადაც მითითებული უნდა იქნეს სტატუსის შეჩერების საფუძველი .

მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი:

- საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
- პირადი განცხადება;
- გარდაცვალება;
- სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;
- კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;
- უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცხყოფა სტუდენტების პედაგოგიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;

• შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით მოტყუებით, თაღლითობითა და სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებებით.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესი

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია გასაჩივრდეს

სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

4.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადის გასვლის შემდეგ განიხილება საკითხი სტატუსის აღდგენის ან შეწყვეტის თაობაზე, რომელიც გაფორმდება რექტორის ბრძანებით სტატუსის აღდგენის ან შეწყვეტის თაობაზე და საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში დაფიქსირდება შესაბამისი ცვლილება ერთი დღის ვადაში.

4.2. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია თუკი აღმოფხვრილი იქნება ის გარემოებები რაც გახდა პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი.

4.3. იმ შემთხვევაში, თუ ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზედაც ირიცხებოდა პროფესიული სტუდენტი მისთვის სტატუსის შეჩერებამდე გაუქმებულია, ან შეცვლილია მისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს ყველაზე მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამით ან გადავიდეს სხვა დაწესებულებაში კანონმდებლობით დადგენილი წესითა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 5. პროფესიულ სტუდენტთა მობილობა

5.1. კოლეჯი, მისთვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა მიღებისათვის თავისუფალი ადგილების ფარგლებში განსაზღვრავს ადგილებს მობილობით პროფესიული სტუდენტების მისაღებად.

მუხლი 6. მობილობის თაობაზე ინფორმაციის საჯაროდ განთავსება

6.1. კოლეჯის ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით საჯაროდ ცხადდება ინფორმაცია მობილობის ვადებისა და მობილობისათვის გამოყოფილი ადგილების, ასევე იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ რომელზეც გამოცხადებულია მობილობით პროფესიულ სტუდენტთა მიღება.

6.2. მობილობით სტუდენტთა მიღება დასაშვებია ყოველწლიურად სექტემბერში და თებერვალში.

მუხლი 7. მობილობის მსურველთა რეგისტრაცია

7.1. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პროფესიული სტუდენტი ვალდებულია კოლეჯის რექტორის მიერ დადგენილ ვადაში შეიტანოს განცხადება მობილობის მსურველად რეგისტრაციის თაობაზე, აგრეთვე წარმოადგინოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ინფორმაცია გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

7.2. წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება კოლეჯის რექტორის ბრძანებით (პირადობის მოწმობის ასლი, არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, მისი დაბადების მოწმობა და კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი, სასწავლო ბარათი, ჩარიცხვის წინაპირობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმეტი, შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი და ა.შ.).

მუხლი 8. კონკურსი მობილობის წესით ჩასარიცხად

8.1. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯის პროგრამაზე მობილობის მსურველთა განცხადების რაოდენობა მეტი აღმოჩნდება ამ პროგრამაზე რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე, კოლეჯის რექტორი ბრძანებით განსაზღვრავს ამ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის კონკურსის ჩატარების თარიღს.

8.2. კონკურსი ტარდება წერილობითი გამოცდის სახით მასში მონაწილეობას იღებს ყველა პირი, რომელიც კოლეჯის მიერ დადგენილ ვადაში დარეგისტრირდა შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველად.

8.3. კოლეჯის რექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს კონკურსის გამჭვირვალედ ჩატარება და კონკურსანტების ნაშრომების შეფასება.

8.4. საკონკურსო საკითხების ნუსხას შეიმუშავებს საკონკურსო კომისია და იგი ვალდებულია უზრუნველყოს საკონკურსო მასალების კონფიდენციალობა.

8.5. კონკურსის შედეგები საჯაროდ ქვეყნდება კოლეჯში და მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს მიიღოს მისი შემოწმებული საკონკურსო ნაშრომის ასლი.

8.6. კონკურსის შედეგად შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას მიიღებს უმაღლესი შეფასებების მქონე პირთა ის ოდენობა, რომელიც შეესაბამება ამ პროგრამაზე კოლეჯის მიერ რეგისტრირებული მისაღები ადგილების რაოდენობას.

8.7. მობილობის მსურველი, რომელიც არ მიიღებს გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობას, კარგავს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას.

8.8. კონკურსანტი უფლებამოსილია შეიტანოს პრეტენზია მისი საგამოცდო ნაშრომის შეფასებაზე საკონკურსო შედეგებისა და პასუხების გაცნობიდან სამი დღის ვადაში. საკონკურსო კომისია ვალდებულია განიხილოს კონკურსანტის პრეტენზია და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება პრეტენზიის დაკმაყოფილებისა თუ პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭება

9.1. პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამის საფეხურზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შემდეგ კვალიფიკაციის მინიჭება ხდება რექტორის ბრძანები

9.2. პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შემდგომ, მასზე გაიცემა პროფესიული დიპლომი.